ირაკლი ჩხაიძე

ილია ჭავჭავაძე: ეროვნული ფიგურა როგორც მეხსიერების ადგილი

ილია ჭავჭავაძე გამორჩეულია იმ ფიგურათაგან, რომელთა დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე საყოველთაოდაა აღიარებული. ილია დადებითი ფიგურაა ქართული საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტისთვის. როგორც ფართო საზოგადოებრივ დონეზე, ასევე ინტერელქტუალურ წრეებში, ბევრს საუბრობენ მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, თუმცა, ილია ჭავჭავაძის მიმართ ეს საყოველთაო პოზიტიური დამოკიდებულება არ არის საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველი. ჯგუფებს, რომელთათვისაც ილია საკულტო მოღვაწეა, სრულიად განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ერის მშენებლობის ფორმები, საზოგადოების განვითარების მოდელები და მიმართულებები, საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა.

მეხსიერების კვლევების პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის ფენომენის შესწავლა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე მანიპულირებადია საქართველოს უახლეს ისტორიაში. მისადმი დამოკიდებულება რამდენჯერმე რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური ვითარების ცვლილებასთან ერთად. მასთან დაკავშირებით დღეს არსებული ნარატივები ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა ვიკვლიოთ. ვფიქრობთ, ილიას მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებების ისტორიულ დინამიკაში კვლევა პასუხს გასცემს მისი მოღვაწეობის წინააღმდეგობრივ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ კითხვებს.

კვლევის მოცემულ ეტაპზე, მცირე ფორმატის ნაშრომში, მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლებით და მოკლედ მიმოვივიხილავთ ილია ჭავჭავაძისადმი დამოკიდებულების ზოგად დინამიკას. აღნიშნული საკითხის შესწავლა დაგეგმილია

ხანგრძლივი კვლევითი პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია ქართული ნაციონალური იდენტობისა და მეხსიერების ადგილების ფუნდამენტური ანალიზი.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად მოიაზრება ქართული ნაციონალიზმისა და თანამედროვე ქართველი ერის მშენებლობის მესაძირკვლედ. 1860-იანი წლებიდან ილიასა და მისი ჯგუფის მიერ დაწყებული მოძრაობა მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოების ტრანსფორმაციას და მოდერნული ეპოქის შესაბამისი ერთობის შექმნას. მრავალმხრივმა საზოგადოებრივმა და შემოქმედებითმა აქტივობამ იგი სიცოცხლეშივე აქცია გამორჩეულ ფიგურად. მოგვიანო პერიოდში, საქართველოში მარქსისტული იდეოლოგიის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად დააზარალა ილიას „იმიჯი“ ქართული საზოგადოების თვალში. ამის მიზეზი იყო მწვავე დაპირისპირება, რომელიც ილია ჭავჭავაძესა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის არსებობდა, თუმცა, ამ უკანასკნელთა შეხედულებებზე ილიას ნაზრევმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.[1] 1900-იანი წლებიდან სოციალ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ თანდათან დაიმკვიდრა გაბატონებული ადგილი საქართველოს საზოგადოებაში. ილიას მკვლელობის შემდეგ მისი სახელი დიდხანს იყო ტაბუირებული. მიუხედავად ამისა, არსებობს ილიას სახელთან დაკავშირებული აკადემიური გამოცემები, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ილია ჭავჭავაძის შესახებ აკადემიური ბიბლიოგრაფია 1910-იანი წლებიდან იწყება. ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელიც ილიას სახელს უკავშირდება, ეკუთვნის ცნობილ სოციალ-დემოკრატს, ბოლშევიკების ძველი თაობის წარმომადგენელს, მალაქია ტოროშელიძეს. ნაშრომი 1914 წელს სამტრედიაში გამოიცა. ავტორი ილია ჭავჭავაძეს განიხილავს, როგორც ქართული მწერლობისა და 1860-იანი წლების მოძრაობის ცენტრალურ ფიგურას, რომელიც გამოხატავდა თავისი ეპოქის სულისკვეთებას. მალაქია ტოროშელიძის შეხედულებით, ილია ნაციონალისტია, განეკუთვნება თავად-აზნაურთა ფენას და, შესაბამისად, ვერ იქნება

[1] აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ: ჯონსი, ს. „სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა (1883-1917)“ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007

პროგრესულად მოაზროვნე. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები ვერ დადგებოდნენ გლეხობის გვერდით, რადგან ბატონყმობის გაუქმება პირველ რიგში მათ უქმნიდა პრობლემებს. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართული ნაციონალიზმის სათავეებთან მდგომ ფიგურას. ტოროშელიძე მიიჩნევს, რომ ილიას პუბლიცისტიკასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას შორის არანაირი წინააღმდეგობა არ არის, იგი ზუსტად პასუხობს თავისი ეპოქის მოთხოვნებს (ტოროშელიძე, 1914: 2-5).

ილიას ჭავჭავაძის ფიგურისგან ერთგვარი დისტანცირება შეინიშნება შემდგომ წლებში, დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის ჩათვლით. საქართველოს გასაბჭოების საწყის ეტაპზე კი ილია ჭავავაძის სახელი სრულად იყო ტაბუირებული, მხოლოდ 1930-იანი წლებიდან, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, დაიწყო ილია ჭავჭავაძის დამსახურების აღიარება და მისი რეაბილიტაცია, თუმცა, საბჭოთა კონიუნქტურის გათვალისწინებით - ეროვნული მოტივებისგან მაქსიმალურად დაცლილი ფორმით. საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფია გულმოდგინედ ცდილობდა ილიასგან რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის სათავეებთან მდგომი მოღვაწე მიეღო[2] მისი სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა მე-19 საუკუნის რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის სახელებს.

ილია ჭავჭავაძის ფიგურისადმი დამოკიდებულების ცვლილება და მისი რეაბილიტაციის პროცესის დასაწყისი ისევ მალაქია ტოროშელიძის სახელს უკავშირდება. კერძოდ, 1934 წლის 20 აგვისტოს, საბჭოთა მწერლობის პირველ საკავშირო ყრილობაზე, მოსკოვში წაკითხულ მოხსენებაში მალაქია ტოროშელიძემ ილიას შესახებ საუბარს ნახევარ საათზე მეტი დაუთმო. მოხსენებაში ილია

[2] მაგალითისთვის იხილეთ: გაფრინდაშვილი, მ. ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ სოციალისტურ მსოფლმხედველობაში. თბილისი, „მეცნიერება“, 1987. რატიანი, პ. თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან. თბილისი, „საბჭ. საქართველო“, 1984

წარმოდგენილია, როგორც პროგრესისტი, რევოლუციური იდეების სათავეებთან მყოფი მოღვაწე (ტოროშელიძე, 1934).

ილია ჭავჭაბაძის რეაბილიტაციის გზაზე საკვანძო მნიშვნელობის მატარებელია ლავრენტი ბერიას მიერ 1935 წლის 20-21 ივლისს თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე წაკითხული მოხსენება. ეს მოხსენება გახდა ერთგვარი „მწვანე შუქი“, რის შემდეგაც, 1937-1939 წლებში, ილია ჭავჭავაძე და მისი შემოქმედება განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა. ლავრენტი ბერია აღნიშნულ მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებს „მესამე დასზე“, როგორც გიორგი წერეთელმა უწოდა „მარქსისტულ ახალგაზრდობას“, გურიაში, ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე. ბერის სიტყვით, წერეთელი ამ ახალგაზრდობას მიიჩნევდა ორი წინანდელი პოლიტიკური მიმართულების საქმის გამგრძელებლად - ფეოდალურ-პროგრესული მომართულებისა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულებისა, თავად გიორგი წერეთლის მეთაურობით (ბერია, 1935: 23). მოხსენებაში ბერია უპირისპირდება ძველ ბოლშევიკებს - მამია ორახელაშვილს, ფილიპე მახარაძეს, აბელ ენუქიძეს. იგი ადგენს ერთგვარ იდეოლოგიურ ჩარჩოს, რომლის მიხედვით უნდა განიხილონ მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე განვითარებული პროცესები ამ საკითხით დაინტერესებულმა მკვლევრებმა. ბერიას ამ მოხსენების შემდეგ იწყება ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ტექსტების მთელი სერია. ცნობილი ქართველი მეცნიერების მიერ იქნება ნაშრომები, რომელთა მიზანია ილია ჭავჭავაძის მიმართ დამოკიდებულების ცვლილება. მოკლედ შევეხოთ რამდენიმე მათგანს:

ივანე ჯავახიშვილი, ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, განიხილავს ილიას როლს საქართველოს ისტორიისადმი ყურადღების მიქცევის საქმეში, პუბლიცისტური წერილების საფუძველზე. ჯავახიშვილს მაგალითად მოჰყავს ილიასა და ივანე ჯაბადარის დაპირისპირება. ივანე ჯავახიშვილი, ადანაშაულებს რა ჯაბადარს მონურ მიმბაძველობასა და სქემატურ მიდგომებში, ცალსახად იზიარებს ილიას პოზიციას. ჯავახიშვილი ჯაბადარს ბრალს სდებს

სლავოფილობაში, ხოლო ჭავჭავაძე მიაჩნია იმ მოღვაწედ, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის აუცილებლობას. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ილიასთვის უმთავრესია კულტურის ის ხაზი, რომელიც სხვის პატივისცემას გულისხმობს (ჯავახიშვილი, 1938: 2).

ყურადღებას იქცევს არნოლდ ჩიქობავას ტექსტი „ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ". ჩიქობავა მიზნად ისახავს გაარკვიოს, რა თეორიულმა კონცეფციებმა ჰპოვეს გამოხატულება ენის შესახებ კამათში „მამების თაობასა" და ილია ჭავჭავაძეს შორის. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ანტონ კათალიკოსის უარყოფით როლს, რომელიც დაუპირისპირდა დავით გურამიშვილის პერიოდიდან არსებულ ქართული ენის გამარტივების ტენდენციას. ჩიქობავას შეხედულებით, ილიას თვალსაზრისი მეცნიერულად სწორია. მიუხედავად იმისა, რომ მას საენათმეცნიერო დასაბუთება არ ახლავს, ჭავჭავაძის ალღო მეცნიერული დასაბუთების გარეშეც სწორ დასკვნას იძლევა (ჩიქობავა, 1938).

პოლიკარპე ცინცაძე, ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე: სოციალურ-ეკონომიური მრწამსი და შემოქმედება" ეხება ლავრენტი ბერიას ზემოაღნიშნულ მოხსენებას, სადაც ბერიამ ილია დაახასიათა როგორც პროგრესისტი ფართო გაგებით, რაც გულისხმობს ახალი იდეების შემომტანს, რეფორმატორს. თავად ავტორი ამ თვალთახედვით აანალიზებს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. ცინცაძე საინტერესოდ მიმოიხილავს ილიას ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულებას. მისი შეხედულებით, ეროვნული მოტივი ილიას აზროვნებისა და შემოქმედების მთავარი დასაყრდენი იდეაა, თუმცა, „ილია იმპერიალისტურ, ან რაიმეგვარი აგრესიული გზით კი არ სჭრიდა ეროვნულ საკითხს, არამედ თანასწორობისა და თავისუფლების თვალსაზრისით აყენებდა ყოველივე მას. ყოველი მოძრაობა, რომელიც ხალხის განმათავისუფლებელ სახეს ატარებს - უცილოდ რევოლუციონურია თავისი ბუნებით... ილია ჭავჭავაძე ქართველი მწერალი და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალ-რევოლუციური მოძრაობის ყველაზე პოპულარული საზოგადო მოღვაწეა" (ცინცაძე, 1938: 116-117).

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ილია ნაციონალისტი მოღვაწეა, ოღონდ არა კაციჭამია ნაციონალიზმის მღაღადებელი. პირიქით, მისი შეხედულებები სხვების პატივისცემას ემყარება. პოლიკარპე ცინცაძეს მაგალითად მოჰყავს ქვათა ღაღადი, სადაც ილია ერჩის კონკრეტულ სომეხ მოღვაწეებს და არა სომეხ ერს, რომელსაც განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებს. „ილიას გენიალურად აქვს შეგნებული, შესაძლებლობა სხვადასხვა გვარტომობისა და სარწმუნოების ხალხთა ერთ სახელმწიფოში ცხოვრებისა ისე, რომ მათ შორის სრული თანხმობა და სახელმწიფოებრივი ერთიანობა არსებობდეს.“ ილია არა მარტო საქართველოზე და ქართველობაზე სწუხს, როგორც დაჩაგრულ ერზე, არამედ სრულიად ამიერკავკასიის მომმე ერებზე, საქართველოს ბედი მისთვის დაკავშირებულია ამ ერების ბედთან (ცინცაძე, 1938: 137-138).

1939 წელს გამოიცა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილის სტატიების კრებული, რომელშიც ისეთ ავტორთა შრომები შევიდა, როგორებიცაა: ა. შანიძე (ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისთვის), ს. ხუნდაძე (ილია ჭავჭავაძე და ბატონყმობის საკითხი). გ. აბზიანიძე (ილია ჭავჭავაძე როგორც ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე). განსაკუთრებით საინტერესია ეს უკანასკნელი, სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციოური მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, მახვილს სცემდა რუსეთის მონარქიულ ბიუროკრატიულ რეჟიმს, ამიტომ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მისი დიადი მხატვრული შემოქმედება, რომელშიც ისმოდა ძლიერი პროტესტი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ატარებდა პროგრესულსა და დემოკრატიულ ხასიათს“ (აბზიანიძე, 1939: 156).

ილიას შემოქმედების განხილული ინტერპრეტაცია გაგრძელდება თითქმის მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში. 1980-იანი წლების ბოლოდან, ეროვნული მოძრაობის აღმასვლისა და ნაციონალისტურ-რელიგიური დისკურსის გაძლიერების შემდეგ, ილია ამ დისკურსის ნაწილი გახდა. ერთი მხრივ, იგი საქართველოს

მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შეირაცხა, ხოლო, მეორე, მხრივ, ეროვნული მოძრაობის სიმბოლოდ იქცა. მის ლექსზე „ჩემო კარგო ქვეყანავ“ შექმნილი სიმღერა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის არაოფიციალურ ჰიმნად მოგვევლინა. შეიქმნა რადიკალურად დაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებდნენ, მაგალითად, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ და „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი მაშინდელი ეროვნული მოძრაობის უპირობო ლიდერების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ ჩამოყალიბდა, რაც ამ დისკურსის დომინანტურობაზე მიუთითებს. ერთ-ერთი პირველი, ვინც ილია ჭავჭავაძისადმი დამოკიდებულების ცვლილებას დაუდო სათავე, იყო აკაკი ბაქრაძე.[3] 1980-იან წლებსა და დამოუკიდებლობის პერიოდში შეიქმნა ბევრი ტექსტი, რომელიც აღნიშნული დისკურსის გაძლიერებას ემსახურება.[4]

1990-იანი წლების ბოლოსა 2000-იან წლებში, ოფიციალურ დონეზე სამოქალაქო ტრანსფორმაციისა და პროდასავლური მიმართულების ჩამოყალიბების შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლები მიმართავენ ილია ჭავჭავაძის სახელს სახელმწიფო პოლიტიკის ლეგიტიმაციისთვის. უმაღლესი თანამდებობის პირები ხშირად ჩნდებიან ვიდეო კამერების წინ ილიას პორტრეტის ფონზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებზე საუბრობენ. ამასთან ერთად, 1980-იან წლებში შექმნილი რელიგიური შეფერილობის პრიმორდიალისტური ხედვა დღემდე ინარჩუნებს ძლიერ პოზიციებს ქართულ საზოგადოებაში. გარკვეული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციები აქტიურად მოქმედებენ ამ დისკურსის ფარგლებში და იყენებენ ილიას ჭავჭავაძეს, როგორც ძირითად იდეოლოგიურ საყრდენს. აკადემიურ სივრცეში იქმნება ტექსტები, სადაც ილია წარმოდგენილია როგორც სეკულარული იდეებისა და

---

[3] იხილეთ: ბაქრაძე, ა. ილია ჭავჭავაძე: წიწამური. თბილისი, „ნაკადული“, 1984. ბაქრაძე, ა. ილია ჭავჭავაძე. თბილისი, „პეგასი“, 2006.

[4] მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ გურამ შარაძის, ელდარ ბუბულაშვილის, ავთანდილ ასათიანის და სხვათა ნაშრომები.

დასავლური ღირებულებების მატარებელი მოღვაწე, რომლის უმთავრესი მიზანი ქართული საზოგადოების მოდერნიზება, მისგან ევროპული ტიპის ერთობის შექმნა იყო.[5] ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებული აკადემიური ნაშრომები (აქ, ძირითადად, ისტორიოგრაფიული ტექსტები იგულისხმება) ასახავს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე და მის შემდგომ განვითარებულ პროცესებს. საბჭოთა პერიოდში გაბატონებული ხედვა კვლავ ძლიერია, თუმცა, მის გვერდით გაჩნდა, ერთი მხრივ, ცალსახად პრიმორდიალისტური, 1980-იანი წლების განწყობების გამომხატველი, ხოლო, მეორე მხრივ, ილიას, როგორც სეკულარული საზოგადოების მაშენებელი, შემწყნარებელი და ლიბერალი მოღვაწის ამსახველი ტექსტები. საქართველოში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სფერო ამ ხედვების ჭიდილის ერთგვარ ასპარეზადაა ქცეული.

გამოყენებული ლიტერატურა

ტოროშელიძე მალაქია, „ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი“, „ვ. ხარებავასა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა“, სამტრედია. 1914

ტოროშელიძე მალაქია, „ქართული ლიტერატურა“, გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი. 1934

ბერია ლავრენტი. „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“, „საქპარტგამომცემლობა“, თბილისი. 1935

ჩიქობავა არნოლდი, „ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“, „სსრკ მეცნ. აკად. ფილიალის გამ-ბა“, თბილისი. 1938

ჯავახიშვილი ივანე, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, „სსრკ მეცნ. აკად. ფილიალის გამ-ბა“, თბილისი. 1938

ცინცაძე პოლიკარპე, „ილია ჭავჭავაძე : სოციალურ-ეკონომიური მრწამსი და შემოქმედება“, გამომცემლობა „ფედერაცია“, თბილისი. 1938

[5] მაგალითისთვის იხილეთ: კრებული „ილია ჭავჭავაძე გლობალიზაციის სათავეებთან“. თბილისი, „მწიგნობარი“, 2014, „ქართველი ერის დაბადება“, ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, თბილისი, „ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2009

აბზიანიძე გიორგი, „ილია ჭავჭავაძე როგორც ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე“, „ილია ჭავჭავაძე: საიუბილეო კრებული (1837-1937)“, „თბილ. უნ-ტის გამ-ბა და სტამბა“, თბილისი. 1939

აბსტრაქტი

ილია ჭავჭავაძე გამორჩეულად დადებითი ფიგურაა, ქართული საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტისთვის. როგორც ფართო საზოგადოებრივ დონეზე, ასევე ინტელექტუალურ წრეებში, ბევრს საუბრობენ მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, თუმცა ილია ჭავჭავაძის მიმართ ეს საყოველთაო პოზიტიური დამოკიდებულება არ არის საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველი. ჯგუფებს, რომელთათვისაც ილია საკულტო მოღვაწეა, სრულიად განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ერის მშენებლობის ფორმები, საზოგადოების განვითარების მოდელები და მიმართულებები, საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა. მეხსიერების კვლევების პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის ფენომენის შესწავლა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე მანიპულირებადია საქართველოს უახლეს ისტორიაში. მისადმი დამოკიდებულება რამდენჯერმე რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური ვითარების ცვლილებასთან ერთად. კვლევის მიზანია ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართული საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურის მიმართ დამოკიდებულების ცვლილების ძირითადი ეტაპების და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი.